პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს

# უწყებები

№ 24 (293) 30 აგვისტო 1965 წელი

## შინაარსი

### ნაწილი I

#### განყოფილება მეორე

482. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ი. სენკინის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

483. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. პ. სტეპანოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

484. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ავიაციის მფრინავების და შტურმანებისათვის „სსრ კავშირის დამსახურებული სამხედრო მფრინავის“ და „სსრ კავშირის დამსახურებული სამხედრო შტურმანის“ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

485. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. პ. ვ. გუსენკოვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

486. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სახალხო არტისტის ს. ვ. გიაცინტოვას ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

487. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აკადემიკოს ა. პ. ვინოგრადოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

#### განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარი ცვლილებების შესახებ.

### ნაწილი II

#### განყოფილება მეორე

488. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის შ. ვ. მიქატაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

489. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ი. ი. შტაერმანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

490. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. გ. ზ[illegible]შვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

491. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ბ. ალავერდაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

492. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. ი. მოსაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაწილი I

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 482 ამხ. ი. ი. სენკინის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სკკპ კარელიის ოლქკომის პირველი მდივანი ამხ. ივანე ილიას ძე **სენკინი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 16 აგვისტო.
№ 3844-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 483 ამხ. ვ. პ. სტეპანოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ჟურნალ „კომუნისტის“ მთავარი რედაქტორი ამხ. ვასილ პავლეს ძე **სტეპანოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 16 აგვისტო.
№ 3845-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 484 სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ავიაციის მფრინავებისა და შტურმანებისათვის „სსრ კავშირის დამსახურებული სამხედრო მფრინავის“ და „სსრ კავშირის დამსახურებული სამხედრო შტურმანის“ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

საავიაციო ტექნიკის ათვისებაში განსაკუთრებული დამსახურებისა, მფრინავთა კადრების აღზრდასა და სწავლებაში მაღალი მაჩვენებლებისა და სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირის შეიარაღებულ ძალთა ავიაციაში მრავალი წლის უავარიო საფრენოსნო მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდებები:

„სსრ კავშირის დამსახურებული სამხედრო მფრინავისა“

1. ავიაციის გენერალ-მაიორ ალექსანდრე ივანეს ძე **ბაბაევს.**
2. ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ვასილ პეტრეს ძე **ბაბკოვს.**
3. ავიაციის გენერალ-მაიორ გიორგი გრიგოლის ძე **ვლასენკოს.**
4. ავიაციის გენერალ-მაიორ ბორის გიორგის ძე **გლადკოვს.**
5. პოლკოვნიკ ანატოლ კუზმას ძე **დოლგოვს.**
6. ავიაციის გენერალ-მაიორ გრიგოლ უსტინის ძე **დოლნიკოვს.**
7. ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ვლადიმერ პორფილეს ძე **დრაგომირეცკის.**
8. ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ანატოლ ლეონიდეს ძე **კადომცევს.**
9. პოლკოვნიკ ანატოლ ვასილის ძე **კარიხს.**
10. ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ალექსი ნიკოლოზის ძე **კატრიჩს.**
11. ავიაციის გენერალ-მაიორ ნიკოლოზ ივანეს ძე **კორობჩაკს.**
12. ავიაციის გენერალ-მაიორ გიორგი ანდრიას ძე **კუზნეცოვს.**
13. პოლკოვნიკ პაისი ფილიპეს ძე **მანტუროვს.**
14. ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ ალექსანდრე ალექსის ძე **მირონენკოს.**
15. პოდპოლკოვნიკ ვალენტინ ვასილის ძე **მოლინს.**
16. ავიაციის გენერალ-მაიორ გრიგოლ როდიონის ძე **პავლოვს.**
17. პოლკოვნიკ პეტრე პეტრეს ძე **პანჩენკოს.**
18. ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ვასილ ვასილის ძე **რეშეტნიკოვს.**
19. პოლკოვნიკ ალექსანდრე ალექსის ძე **საველიევს.**
20. ავიაციის გენერალ-მაიორ ვიქტორ დიმიტრის ძე **საველიევს.**
21. ავიაციის მარშალ ევგენი იაკობის ძე **სავიცკის.**
22. პოლკოვნიკ იგორ ალექსანდრეს ძე **საზონოვს.**
23. პოლკოვნიკ ევგენი მიხეილის ძე **სემიონოვს.**
24. პოლკოვნიკ ვასილ მიხეილის ძე **სინიუკაევს.**
25. ავიაციის გენერალ-მაიორ თევდორე ივანეს ძე **სმეტანინს.**
26. პოლკოვნიკ ევტიხი თევდორეს ძე **სოკოლოვს.**
27. პოლკოვნიკ კონსტანტინე ანდრიას ძე **სტეპოჩკინს.**
28. ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ალექსანდრე ნიკოლოზის ძე **ტომაშევსკის.**
29. პოლკოვნიკ ალექსანდრე დიმიტრის ძე **ჩერნოვს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სსრ კავშირის დამსახურებული სამხედრო შტურმანისა“

1. პოლკოვნიკ ვიქტორ ნიკოლოზის ძე გრიშეს.
2. ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ვიქტორ მიხეილის ძე ლავსკის.
3. ავიაციის გენერალ-მაიორ თევდორე სტეფანეს ძე იალოვოის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 19 აგვისტო.
№ 3854-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 485 ამხ. პ. ვ. გუსენკოვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამედიცინო მრეწველობის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. პეტრე ვასილის ძე გუსენკოვი დაჯილდოვდეს „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 20 აგვისტო.
№ 3855-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 486 სსრ კავშირის სახალხო არტისტის ს. ვ. გიაცინტოვას ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათი წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახალხო არტისტი სოფიო ვლადიმერის ასული გიაცინტოვა — მოსკოვის ლენინური კომკავშირის სახელობის თეატრის მსახიობი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 20 აგვისტო.
№ 3856-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 487 აკადემიკოს ა. პ. ვინოგრადოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით აკადემიკოსი ალექსანდრე პავლეს ძე ვინოგრადოვი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 23 აგვისტო.
№ 3862-VI.

## განყოფილება მესამე

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

აღმოსავლეთ ყაზახეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს უსტ-კამენოგორსკის ტიტან-მაგნიუმის კომბინატის პირველი რიგის მშენებლობისა და საწარმოო სიმძლავრეთა ათვისების დროს მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა კომბინატის პირველი რიგის მშენებლობის და ათვისების 200 მონაწილე, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: ტრესტ „ალტაისვინეცსტროის" სპეციალიზებული სამმართველოს „ზემსტროის" ლიანდაგდამგებთა ბრიგადირი ბ. ჟუნუსპეკოვი, ტრესტ „ალტაისვინეცსტროის" მმართველი ა. ს. კრეიჩმანი, ტრესტ „კაზმეხანომონტაჟის" უსტ-კამენოგორსკის სამონტაჟო სამმართველოს უფროსი ნ. ი. კუჩერუკი, ტრესტ „ალტაისვინეცსტროის" სამშენებლო უბნის „ზავოდსტროის" მებეტონე დურგალთა ბრიგადირი მ. ა. მარჩენკო და ტრესტ „კაზელექტრომონტაჟის" უსტ-კამენოგორსკის სამონტაჟო სამმართველოს ელექტრომემონტაჟეთა ბრიგადირი ა. მ. უშნურცევი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 24 კაცი, „საპატიო ნიშნის" ორდენით — 47, მედლით „შრომითი მამაცობისათვის" — 58 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის" — 66 კაცი.

ბრძანებულება გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში".

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარი ცვლილებების შესახებ

### რსფსრ

**ზოგიერთი რაიონისა და რაიონული ცენტრის სახელის შეცვლა**

რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 10 აგვისტოს ბრძანებულებებით სახელი შეუცვალა:

კუიბიშევის ოლქის კოლდიბანის რაიონს და უწოდა მას **კრასნოარმეისკოეს** რაიონი, ხოლო მის ცენტრს სოფელ კოლდიბანს—სოფელი **კრასნოარმეისკოე;**

ტულის ოლქის ლაპტევოს რაიონს და უწოდა მას **იასნოგორსკის** რაიონი, ხოლო მის ცენტრს ქალაქ ლაპტევოს — ქალაქი **იასნოგორსკი.**

* * *

რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 10 აგვისტოს ბრძანებულებით დაამტკიცა დაღესტნის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ყარანოღაეთის რაიონისათვის **ნოღაეთის** რაიონის დარქმევის შესახებ.

## ნაწილი II

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 488 საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის შ. ვ. მიქატაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარების საქმეში დამსახურებისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი შოთა ვლადიმერის ძე მიქატაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1965 წლის 20 აგვისტო.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 489 პროფესორ ი. ი. შტაერმანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის ნაგებობათა და

ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროფესორი რუდოლფ იაკობის ძე შტაერმანი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1965 წლის 20 აგვისტო.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 490 ამხ. ა. გ. გამხარაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქვანახშირის მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქსახსამთოტექზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ანატოლ გიორგის ძე გამხარაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1965 წლის 20 აგვისტო.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 491 ამხ. მ. ბ. ალავერდაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს „ბოსტანჯიშთესლის“ რესპუბლიკური გაერთიანების უფროსი ამხ. მიხეილ ბესარიონის ძე ალავერდაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1965 წლის 20 აგვისტო.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 492 ამხ. თ. ი. მოსაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. თეიმურაზ ილიას ძე **მოსაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1965 წლის 20 აგვისტო.

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიაში

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის სხდომა. კომისიამ მოისმინა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ დ. ვ. გელაშვილის მოხსენება საქართველოს სსრ 1965 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შედეგების შესახებ.

საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ა. ხუროძემ, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ამხ. ვ. ტრაპაიძემ, მშენებლობის მინისტრის მოადგილემ ამხ. მ. ზოდელავამ, კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილემ ამხ. ნ. ჩხიკვაძემ, ენერგეტიკის და ელექტრიფიკაციის სამმართველოს უფროსმა ამხ. დ. ჩხეიძემ, სამშენებლო მასალათა სამმართველოს უფროსმა ამხ. გ. ცინცაბაძემ, საქართველოს ბაკალეის რესპუბლიკური კანტორის მმართველმა ამხ. ნ. მაისურაძემ, თელავის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. მ. მეზვრიშვილმა და სხვებმა.

კომისიამ აღნიშნა, რომ დაზუსტებული ბიუჯეტი მიმდინარე წლის 1 ივლისისათვის შესრულებულია საშემოსავლო ნაწილში 45,3 პროცენტით და სავასავლო ნაწილში 45,4 პროცენტით. გადაჭარბებითაა შესრულებული ბრუნვის გადასახადიდან ნახევარი წლის გეგმა.

მიუხედავად გეგმის ასეთი შესრულებისა, ჩამორჩენაა საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს თბილისის ცხიმკომბინატში, ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებლობის მრეწველობის სამმართველოს საწარმოებში.

სახალხო მეურნეობის საბჭოს ორგანიზაციები და ვაჭრობის სამინისტრო დროულად არ ანაწილებენ სასაქონლო ფონდებს, რასაც ზოგჯერ მოსდევს ფონდების აუთვისებლობა.

მოგების ანარიცხების ნახევარი წლის გეგმა სახალხო მეურნეობის საბჭოს ხაზით შესრულებულია 95,2 პროცენტით. გეგმის შესრულება ვერ უზრუნველყო მხატვრული გალანტერეის ნაკეთობათა ტრესტმა, რომელმაც გეგმა შეასრულა მხოლოდ 61,8 პროცენტით, ხორცისა და რძის მრეწველობის სამმართველომ — 77,9 და საფეიქრო მრეწველობის სამმართველომ — 84,3 პროცენტით.

გეგმის შესრულებაში დიდი ჩამორჩენა აქვს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, რომელმაც ნახევარი წლის გეგმა შეასრულა მხოლოდ 26,2 პროცენტით და ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამმართველოს — 40,1 პროცენტით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიამ აღნიშნა,რომ მთელი რიგი სამინისტროები, უწყებები და ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები სათანადო ღონისძიებებს არ ახორციელებენ ნარჩენების ლიკვიდაციისათვის.

კომისიამ გადაწყვიტა, რომ საკითხი შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. ზ. ა. კვაჭაძემ.